სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2018 წლის საქმიანობის ანგარიში

შესყიდვებზე დაფიქსირებული ეკონომია

4,087,214,000 ლარი

გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა
32,597

სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა
38,248

გადამზადებული მოხელეების რაოდენობა
816

შემოსული საჩივრები 1,040
მათგან 57% დაკმაყოფილდა
ბიზნესის სასარგებლოდ

ეკონომია
285
მილიონი ლარი

თბილისი 2019

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

თბილისი 2019

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ქ. თბილისი 0113, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა N8

(+99532) 2 484822

www.procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge

სარჩევი

შესავალი 2
ქართული საჯარო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები 3
სამართლებრივი ბაზის სრულყოფა 21
დავების განხილვის პროცესი 22
ცენტრალიზებული შესყიდვების ინიცირება 27
გამარტივებული შესყიდვების პრაქტიკა 31
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები 34
თეთრი სიის წარმოება 35
შავი სიის წარმოება 36
პერმანენტული მონიტორინგი 37
დიდაქტიკური საქმიანობა 37
გამოცემები და პუბლიკაციები 40
მომხმარებლებთან კომუნიკაცია 41
საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსიფიცირება 42
პარტნიორებთან თანამშრომლობა 48

შესავალი

2018 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, საქონლის, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჯამში დაიხარჯა 4 მილიარდ ლარზე მეტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უმთავრეს ფუნქციას აღნიშნული სახსრების გამჭვირვალედ, ეფექტიანად და კონკურენტულ პირობებში ხარჯვის უზრუნველყოფისათვის საჭირო გარემოს შექმნა წარმოადგენს. ამ მიზნით სააგენტო მუდმივად ახორციელებს ნორმატიული ბაზისა და სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემის სრულყოფას, ისევე როგორც საჯარო სექტორში დასაქმებული შესყიდვების სპეციალისტების გადამზადების სხვადასხვა სპეციალიზირებულ პროგრამებს.

გასულ წელს, ძირეული რეფორმა გატარდა ცენტრალიზებული, ე.წ. „კონსოლიდირებული“ ტენდერების განხორციელების კუთხით. საბიუჯეტო სახსრების დაზოგვისა და შესყიდვების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილებით განისაზღვრა გარკვეული ტიპის შესყიდვის ობიექტებზე ცენტრალიზებული ფორმით შესყიდვების აუცილებელი პირობა.

ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელება დაევალა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რისთვისაც შეიქმნა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით დაკომპლექტებული, სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული - „ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალიზირებული შესყიდვების გამოყენება აპრობირებული პრაქტიკაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ასეთი ტიპის შესყიდვების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა მცირე მოცულობის, იდენტური შესყიდვის აგრეგირების გზით შესაძლებელი ხდება ერთის მხრივ მასშტაბის ეკონომიის მიღწევა, ხოლო მეორეს მხრივ, წარუმატებლად დასრულებული ტენდერების წილის მნიშვნელოვანი შემცირება და შესაძლო კორუფციული გარიგებების გამორიცხვა.

საგულისხმოა, რომ გასულ წლებში რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში, გამარტივებული შესყიდვების წილის შემცირების მიზნით. 2018 წელს გამარტივებული შესყიდვების წილი მთლიან შესყიდვებთან მიმართებაში შემცირდა 19%-მდე და ასეთი შესყიდვების მოცულობამ დაახლოებით 779 მილიონი ლარი შეადგინა. შედარებისათვის - 2017 წელს განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების მოცულობა 881 მილიონს, ხოლო 2016 წელს - დაახლოებით 1.5 მილიარდ ლარს შეადგენდა.

2018 წელსვე გამოიცა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 20 სექტემბრის №9 ბრძანება, რომლითაც გამკაცრდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების კრიტერიუმები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს გამარტივებული შესყიდვების კიდევ უფრო შემცირებას.

სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებში დასაქმებული შესყიდვების სპეციალისტების გადამზადება. 2018 წლის განმავლობაში, სააგენტოსთან არსებულ სასწავლო ცენტრში, სპეციალური სასწავლო პროგრამების ფარგლებში, სწავლება გაიარა 315-მა მსმენელმა, საქართველოს ყველა რეგიონიდან. გარდა ამისა, სააგენტოს სპეციალისტების მიერ ჩატარდა 5 გასვლითი, თემატური შეხვედრა მუნიციპალიტეტების მერებთან და 13 ტრენინგი სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტებისათვის. ჯამში გასული წლის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო აქტივობების ფარგლებში გადამზადება გაიარა 816-მა მსმენელმა.

ქართული საჯარო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები

2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ 4,087,214,400 ლარი შეადგინა[1]. მათგან ელექტრონული პროცედურებით განხორციელდა 3,308,643,197 ლარის შესყიდვები, ხოლო გამარტივებული შესყიდვების გზით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ კი 778,571,203 ლარი შეადგინა.

დიაგრამა N1: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება



გამარტივებული შესყიდვები არ მოიცავს სპეციალური წესით განსაზღვრულ შესყიდვებს. გამარტივებული შესყიდვების მოცულობა დათვლილია 2018 წლის სახსრებით დაფინანსებულ შესყიდვებზე, რომელიც მოიცავს როგორც 2017 წელს ატვირთულ ხელშეკრულებებს, ასევე 2019 წლის დასაწყისში ატვირთულ კონტრაქტებს.

[1] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B პროცედურებით ჩატარებული ტენდერების ფინანსურ მაჩვენებლებს.

2018 წელს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ 32,597 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (33,095) 2%-ით ჩამოუვარდება. 2018 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება შესყიდვის ტიპის მიხედვით იხილეთ დიაგრამა N2-ზე.

დიაგრამა N2: 2018 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება შესყიდვის ტიპის მიხედვით



ისევე როგორც 2017 წელს, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის შემცირება განპირობებულია მათი აგრეგირებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილზე N1 ნაჩვენებია გამოცხადებული ტენდერების რაოდენობები თანხობრივ მაჩვენებლებში. ეს მაჩვენებლები ვიზუალურად ასევე შესამჩნევია დიაგრამა N3-ზე. როგორც დიაგრამაზე ჩანს, დაბალი ღირებულების ტენდერების რაოდენობა (მაგალითად 10,000 ლარი და ნაკლები) უფრო მეტი რაოდენობით ცხადდებოდა 2017 წელს, ვიდრე 2018 წელს. ამავდროულად, დიაგრამაზე ჩანს, რომ 2017 წელთან შედარებით დიდი მოცულობის ტენდერების რაოდენობა მეტია 2018 წელს (2018 წელს 10%-ით მეტი ტენდერი გამოცხადდა, სავარაუდო ღირებულებით 100,000 ლარი და მეტი).

ცხრილი N1: გამოცხადებული ტენდერების რაოდენობები თანხობრივ ჭრილში

მონეტარული ზღვრები	2017 წელი (რაოდენობა)	2018 წელი (რაოდენობა)
10,000 და ნაკლები	13,190	11,650
10,001 – 20,000	5,366	5,065
20,001- 30,000	2,870	2,733
30,001 – 40,000	1,753	1,819
40,001 – 50,000	1,267	1,338
50,001 – 100,000	2,965	2,833
100,001 – 200,000	1,898	2,033
200,000 და მეტი	2,555	2,870
სულ:	**31,864**	**30,341**

აღნიშნული მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP ტენდერებს და ვაჭრობას პრეისკურანტით (არ მოიცავს ისეთ ტენდერებს, სადაც სავარაუდო ღირებულება სისტემურად მითითებული არ არის).

დიაგრამა N3: გამოცხადებული ტენდერების რაოდენობები თანხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით



ზემოაღნიშნულ დიაგრამაზე N3 მოცემული ტენდერების რაოდენობების განაწილება ჯამური სავარაუდო ღირებულების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილ N2-ზე.

ცხრილი N2: ჯამური სავარაუდო ღირებულება მონეტარულ ზღვრებს შორის

მონეტარული ზღვრები	2017 წელი (ჯამური თანხა)	2018 წელი (ჯამური თანხა)
10,000 და ნაკლები	59,454,622	54,140,537
10,001 – 20,000	78,707,459	74,215,391
20,001- 30,000	71,568,893	68,366,639
30,001 – 40,000	61,447,657	64,033,434
40,001 – 50,000	57,238,606	60,705,884
50,001 – 100,000	212,176,699	202,796,864
100,001 – 200,000	175,491,811	289,831,787
200,000 და მეტი	2,924,024,602	3,577,683,767
სულ	**3,640,110,349**	**4,391,774,303**

დიაგრამა N4: გამოცხადებული ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულება თანხების მიხედვით



ელექტრონული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 2018 წლის მონაცემებით 3,017,455,945 ლარს აღწევს, რაც 18%-ით აღემატება წინა წლის იგივე მაჩვენებელს[2].

აღინიშნება "ვაჭრობა დაფარული მონაცემებით აუქციონის გარეშე" ტიპის ტენდერების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. 2018 წელს გამოცხადდა 21,255 NAT ტენდერი (2017 წელს იყო 15,627 NAT ტენდერი), მაშინ როდესაც ამავე პერიოდში გამოცხადდა 10,082 SPA ტენდერი.

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბოლოო სტატუსი მიენიჭა 31,643 ტენდერს[3], რომელთაგანაც ხელშეკრულება დაიდო 23,074 ტენდერზე (2017 წელს 24,215). შედეგად „ხელშეკრულება დადებულია" ტენდერების წილი საბოლოო სტატუსმინიჭებულ ტენდერებში წარმოადგენს 73%-ს.

დიაგრამა N5: 2018 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსების განაწილება



მონაცემები არ მოიცავს GEO და DEP ტენდერებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს. მოიცავს „ვაჭრობას პრეისკურანტით".

2018 წელს საბოლოო სტატუსმინიჭებული ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულება წარმოადგენდა 3,196,112,945 ლარს[4], ხოლო ეკონომიამ შეადგინა 285,736,820 ლარი.

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვებში მიღებული ეკონომიის განაწილება მოცემულია ცხრილში N3.

---

[2] იგივე თანხა 2017 წელს წარმოადგენდა 2,565,653,686 ლარს. მონაცემები არ მოიცავს GEO და DEP ტენდერებს, არ მოიცავს კონსოლიდირებულ ტენდერებს, მოიცავს ვაჭრობას პრეისკურანტით.

[3] მონაცემები არ მოიცავს კონსოლიდირებულ ტენდერებს, GEO და DEP ტენდერებს.

[4] ეკონომიის მაჩვენებლების დათვლისას მონაცემებიდან ამოღებულია პრეისკურანტიანი ტენდერები. პრეისკურანტიანი ტენდერების ჩათვლით ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება წარმოადგენდა 3,017,455,945 ლარს.

ცხრილი N3: ეკონომიის მაჩვენებლები შესყიდვის ობიექტის მიხედვით

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია
საქონელი	773,503,455	717,873,509	55,629,946
სამშენებლო სამუშაოები	1,941,675,686	1,734,667,834	207,007,852
მომსახურება	480,933,804	457,834,783	23,099,021
სულ	**3,196,112,945**	**2,910,376,125**	**285,736,820**

მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, კონსოლიდირებულ (CON), B2B ტენდერებს, არ მოიცავს ვაჭრობას პრეისკურანტით.

დიაგრამა N6: 2018 წელს ჩატარებული ტენდერების ღირებულებითი განაწილება და ეკონომიის მაჩვენებლები შესყიდვის ობიექტის მიხედვით



მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, კონსოლიდირებულ (CON), B2B ტენდერებს, არ მოიცავს ვაჭრობას პრეისკურანტით.

ჩატარებული ტენდერების განაწილება რაოდენობრივ ჭრილში მოცემულია დიაგრამა N7-ზე.

დიაგრამა N7: 2018 წელს ჩატარებული ტენდერების რაოდენობრივი განაწილება შესყიდვის ობიექტის მიხედვით



მონაცემები არ მოიცავს GEO და DEP ტენდერებს. ასევე არ მოიცავს „ვაჭრობას პრეისკურანტით“.

კვლავ იზრდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა. მხოლოდ 2018 წელს სისტემაში 3,300-ზე მეტი ახალი ბიზნეს კომპანია დარეგისტრირდა და სულ რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ 38,248-ს მიაღწია.

დიაგრამა N8: სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების განაწილება წლების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ გარდა საქართველოში ოპერირებადი ადგილობრივი ბიზნეს კომპანიებისა, დაინტერესება არარეზიდენტი კომპანიებისგანაც საკმაოდ მაღალია. 2018 წელს აღნიშნული უცხოელი მიმწოდებლების რაოდენობამ 1,700-ს მიაღწია. არარეზიდენტ კომპანიებთან 2018 წლის მანძილზე ტენდერების გზით დაიდო 61 ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამაც 122 მილიონ ლარზე მეტს გადააჭარბა, რამაც შეადგინა საქართველოში ტენდერებით შესყიდული მთლიანი მოცულობის 4%.

დიაგრამა N9: 2018 წელს რეზიდენტ და არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოცულობა თანხობრივად



2018 წელს არარეზიდენტებმა[5] 34 სხვადასხვა CPV კატეგორიაში გაიმარჯვეს. მათგან ყველაზე მეტი, 6 ტენდერი იყო კატეგორიაზე სატრენინგო მომსახურებები (CPV 80500000), ხოლო მონეტარული კუთხით, შესყიდვის კატეგორია, რომელზეც ყველაზე მეტი თანხის ტენდერებში გაიმარჯვეს არარეზიდენტებმა, იყო სამშენებლო სამუშაოების CPV კატეგორია (CPV 45200000). ამ CPV კატეგორიაზე წლის განმავლობაში ჯამში 4 ხელშეკრულება დაიდო, ხოლო კონტრაქტების ჯამურმა მოცულობამ წარმოადგინა 50 მილიონი. შედარებისთვის ამავე CPV კატეგორიაზე რეზიდენტ მიმწოდებლებთან დაიდო დაახლოებით 1.5 მილიარდი ლარის მოცულობის ხელშეკრულებები, რაც 30-ჯერ აღემატება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიერ მოგებული ტენდერების მოცულობას.

[5] არარეზიდენტ პირად ითვლება მხოლოდ ის კომპანია რომელიც უცხოური საიდენტიფიკაციო კოდით არის რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში

ცხრილი N4: არარეზიდენტების მიერ გამარჯვებული ტენდერების ტოპ 5–ეული CPV კატეგორიაში ჯამური თანხის მიხედვთ

CPV კატეგორია	ტენდერების რაოდენობა	ჯამური მოცულობა (ლარი)
45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	4	50,160,363
31100000 - ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები	2	24,687,708
44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები	5	14,810,816
33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	5	7,753,321
42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის	2	4,088,560

დიაგრამა N10: სისტემაში რეგისტრირებულ არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით



- სომხეთი 45
- ირანი 17
- ტანზანია 2
- რუსეთის ფედერაცია 163
- უნგრეთი 3
- ნიდერლანდები 16
- ჩეხეთის რესპუბლიკა 23
- ჩინეთი 89
- ბელგია 8
- პაკისტანი 2
- ნორვეგია 3
- ხორვატია 5
- კვიპროსი 5
- არგენტინა 1
- სლოვენია 4
- მოზამბიკი 1
- ბაჰრეინი 1
- პანამა 1
- მალტა 2
- შვეიცარია 13
- ისრაელი 9
- აზერბაიჯანი 111
- ლიტვა 37
- კორეის რესპუბლიკა 2
- პოლონეთი 26
- გერმანია 86
- ავსტრალია 16
- ისლანდია 2
- რუმინეთი 8
- ეგვიპტე 1
- ჰონკონგი 7
- სვაზილენდი 9
- პორტუგალია 6
- ბულგარეთი 7
- სამხრეთ აფრიკა 2
- სეიშელის კუნძულები 1
- ტაივანი, ჩინეთის პროვინცია 1
- ბოსტვანა 1
- უკრაინა 302
- დიდი ბრიტანეთი 52
- არაბთა გაერთიანებული საამ. 15
- თურქეთი 210
- ბელარუსი 22
- ლატვია 22
- საბერძნეთი 14
- შვედეთი 5
- ყირგიზეთი 6
- ყაზახეთი 30
- დაუდგენელი 1
- სერბეთი 5
- ავღანეთი 3
- იაპონია 2
- სინგაპური 2
- მონაკო 1
- უზბეკეთი 2
- ამერიკის სამოა 1
- ლიბანი 1
- აშშ 35
- ესპანეთი 31
- ირლანდია 4
- დანია 9
- ინდოეთი 24
- ავსტრია 20
- იტალია 76
- საფრანგეთი 21
- ფინეთი 5
- მოლდოვა 2
- ესტონეთი 11
- კანადა 8
- ფილიპინები 1
- ვირჯინიის კუნძულები 3
- სლოვაკეთი 8
- მაკედონია 1
- კორეის სახ. დემოკრატიული რესპუბლიკა 5
- ერაყი 1
- თურქმენეთი 1

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა რეგიონში მდებარე ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე სახელმწიფოებისა, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებულ ტენდერებში ინტერესდებიან და მონაწილეობას იღებენ რეგიონიდან გაცილებით მოშორებული ქვეყნებიდანაც.

დიაგრამა N11: არარეზიდენტი მიმწოდებლების განაწილება რეგიონების მიხედვით



2018 წელს ტენდერებში პრეტენდენტთა საშუალო მონაწილეთა რაოდენობა წარმოადგენდა 2.1-ს. საქონლის მიწოდების, სამშენებლო სამუშაოების და მომსახურების მიხედვით პრეტენდენტთა რაოდენობა კი ნაწილდება შემდეგნაირად:

დიაგრამა N12: საშუალო მონაწილეობის მაჩვენებელი შესყიდვის ობიექტის მიხედვით



ასევე საყურადღებოა გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით. აქტიურობით გამოირჩევა დეკემბერი-მარტის პერიოდი.

დიაგრამა N13: გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა თვეების მიხედვით



მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON და B2B ტენდერებს, მოიცავს ვაჭრობას პრეისკურანტით.

დამატებით საინტერესოა განხილულ იქნას ზოგიერთი შესყიდვის კატეგორია და შემსყიდველი ორგანიზაციის სტატისტიკა. კერძოდ, პირველ რიგში აღსანიშნავია თუ რომელი CPV კატეგორიებშია ყველაზე მეტი ეკონომია. ამ მაჩვენებლებით რადიკალური ცვლილება არ შეიმჩნევა სტატისტიკაში. ყველაზე მეტი დანაზოგი ისევ სამშენებლო სამუშაოების CPV კატეგორიებზე ნაწილდება; იხილეთ ცხრილი N5.

ცხრილი N5: ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია ეკონომიის მიხედვით

N	შესყიდვის კატეგორია	ჯამური სავარაუდო ღირებულება	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	%
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	1,731,138,978	1,549,536,382	181,602,596	10%
2	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	112,559,566	98,830,618	13,728,948	12%
3	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	53,861,542	46,482,378	7,379,164	14%
4	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	64,090,779	57,671,281	6,419,498	10%
5	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	40,485,745	34,573,021	5,912,724	15%
6	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	56,995,506	51,313,436	5,682,070	10%
7	30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	40,008,179	34,680,854	5,327,325	13%
8	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	129,378,258	124,596,506	4,781,752	4%
9	90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	23,043,537	19,721,797	3,321,740	14%
10	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	20,419,640	17,315,006	3,104,634	15%

2018 წელს ყველაზე მეტი ეკონომია ვაჭრობის შედეგად მიიღო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (50 მილიონ ლარზე მეტი). ხოლო მომდევნო ადგილებს ინაწილებენ თბილისის მერია და შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია.

ცხრილი N6: ტოპ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია ჯამური ეკონომიის მიხედვით

N	შემსყიდველის დასახელება	ეკონომია
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	51,567,793
2	ქ. თბილისის მერია	27,887,545
3	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	16,740,535
4	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	10,245,350
5	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	8,079,008
6	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	6,526,153
7	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	6,475,805
8	შპს სტადიონი	4,681,652
9	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	3,730,460
10	ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა	3,272,830

ასევე საინტერესოა საშუალო მონაწილეობის მაჩვენებლები შესყიდვის კატეგორიების მიხედვით. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილებიდან იკვეთება (ცხრილი N7 და ცხრილი N8) ზოგიერთი შესყიდვის კატეგორიებზე (მაგ. შენობის დასრულების სამუშაოები - 3.48) საშუალო მონაწილეობა საკმაოდ მაღალია, ხოლო ზოგ მათგანზე შეინიშნება კონკურენციის სიმცირე.

ცხრილი N7: ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია მონაწილეების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით

N	შესყიდვის კატეგორია	ტენდერების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	საშუალო მონაწილეობა
1	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	995	3,459	3.48
2	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	519	1,586	3.06
3	79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	439	1,216	2.77
4	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	3,299	9,102	2.76
5	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	245	657	2.68
6	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	194	493	2.54
7	33700000 - პირადი ჰიგიენის საშუალებები	195	478	2.45
8	39100000 - ავეჯი	361	866	2.4
9	90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	215	507	2.36
10	44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჭვები და ზამბარები/ რესორები	127	293	2.31

იმისთვის, რომ მონაცემები იყოს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღებულია CPV კატეგორიები, რომლებზეც წელიწადში 100-ზე მეტი ტენდერი ცხადდება.

მაგალითად ფარმაცევტულ პროდუქტებზე გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა არის 748, ხოლო საშუალოდ ამ ტენდერებზე შეინიშნება კონკურენცია 1.57-ის ოდენობით. ასევე შესამჩნევად დაბალი კონკურენცია (1.3) აღინიშნება სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე და საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებებზე. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე N8.

ცხრილი N8: ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია მონაწილეების ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებლით

N	შესყიდვის კატეგორია	ტენდერების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	საშუალო მონაწილეობა
1	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	151	196	1.3
2	60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები	397	518	1.3
3	77200000-სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები	282	372	1.32
4	98300000-სხვადასხვა მომსახურება	138	194	1.41
5	15100000 - ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები	227	324	1.43
6	85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები	134	193	1.44
7	92600000-სპორტული მომსახურებები	126	182	1.44
8	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება	220	336	1.53
9	09100000-საწვავი	127	195	1.54
10	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები	748	1,173	1.57

იმისთვის, რომ მონაცემები იყოს მნიშვნელოვანი აღებულია CPV კატეგორიები, რომლებზეც წელიწადში 100-ზე მეტი ტენდერი ცხადდება.

ასევე საინტერესოა ზოგიერთი შემსყიდველი ორგანიზაციის მონაცემთა განხილვა გამოცხადებული ტენდერების რაოდენობისა და ჯამური თანხების მიხედვით. როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილზე აღინიშნება, ყველაზე დიდი რაოდენობის ტენდერები 2018 წელს გამოაცხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, თბილისის მერიამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ცხრილი N9: შემსყიდველი ორგანიზაციები გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა	ჯამური სავარაუდო ღირებულება
1	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	463	18,360,042
2	ქ. თბილისის მერია	442	214,262,908
3	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	411	133,552,517
4	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	313	59,694,164
5	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	284	27,908,117
6	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	283	56,853,461
7	ეროვნული სატყეო სააგენტო	279	8,436,288
8	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	246	12,518,396
9	შემოსავლების სამსახური	237	22,990,850
10	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	215	96,778,652

რაც შეეხება ჯამური სავარაუდო ღირებულების კუთხით, ყველაზე დიდი მაჩვენებლებით „ტოპ“ ათეულში პირველ ადგილზეა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჯამური სავარაუდო ღირებულებით 633 მილიონი ლარი, ხოლო მომდევნო ადგილებს ინაწილებენ თბილისის მერია და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ცხრილი N10: შემსყიდველი ორგანიზაციები გამოცხადებული ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულების მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა	ჯამური სავარაუდო ღირებულება
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	164	633,259,661
2	ქ. თბილისის მერია	442	214,262,908
3	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	411	133,552,517
4	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	215	96,778,652
5	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	59	84,049,502
6	შპს სტადიონი	10	69,161,370
7	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	313	59,694,164
8	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	283	56,853,461
9	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	58	56,526,750
10	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	24	55,613,272

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

მსგავსად გასული წლებისა, 2018 წელსაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. გატარებული რეფორმებიდან გამოსაყოფია რამოდენიმე:

1. გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მარტის №4 ბრძანება. შედეგად, დაიხვეწა ელექტრონული ტენდერების ჩატარების პროცედურები. გარდა ამისა, პრეისკურანტის ფორმით შესასყიდ CPV კოდებს დაემატა ახალი კოდი – 85100000 – ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები.

2. გამოიცა „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 19 მარტის №7 ბრძანება. შედეგად, პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა ან უარის სხვაგვარად გამოხატვა აღარ წარმოადგენს პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველს.

3. გამოიცა „კერძო შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისა და ამ სისტემით სარგებლობის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივლისის №8 ბრძანება. აღნიშნული ცვლილებით კერძო სექტორის წარმომადგენლებს საშუალება მიეცა გამოიყენონ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა მათი ტენდერების გამოცხადებისათვის (ე.წ. „B2B“ ურთიერთობებისას).

4. გამოიცა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 20 სექტემბრის №9 ბრძანება. შედეგად, გამკაცრდა კრიტერიუმები გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისათვის.

5. გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 27 ნოემბრის №12 ბრძანება. აღნიშნული ცვლილების შედეგად, ხარჯთაღრიცხვის განუფასებლობა მხოლოდ მაშინ გახდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი, თუ იგი საერთოდ არ არის წარდგენილი ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიციების რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.

6. გამოიცა „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანება და დამტკიცდა კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ერთიანი წესი, შესყიდვის ობიექტების განურჩევლად.

დავების განხილვის პროცესი

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო.

საბჭოს მიზნებია სატენდერო და საკონკურსო პროცედურების წარმართვისას წარმოშობილი დავების მაქსიმალურად სწრაფად, ეფექტიანად და სამართლიანად გადაწყვეტა.

2011 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების გასაჩივრების ელექტრონული მოდული. აღნიშნული მოდული საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს ოფისიდან გაუსვლელად, ელექტრონულად წარუდგინონ დავების განხილვის საბჭოს საჩივრები სატენდერო და საკონკურსო პროცედურების შესაძლო დარღვევების შესახებ.

ელექტრონული მოდული არის საჯარო და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს შეუძლია იხილოს ტენდერებზე და კონკურსებზე წარდგენილი საჩივრები, მათზე თანდართული დოკუმენტები და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

2018 წელს გამოიცა „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანება, რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად მოწესრიგდა საბჭოს წევრების დანიშვნის, არჩევის და დასახელების პროცედურები და ასევე, საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის პროცედურები.

გასული წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი იქნა 1,040 საჩივარი. N14 დიაგრამაზე ასახულია საბჭოში წარგენილი საჩივრების რაოდენობები წლების მიხედვით.

დიაგრამა N14: 2011-2018 წლებში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა



2016 და 2017 წლებთან შედარებით 2018 წელს საჩივრების კლება ძირითადად განპირობებულია გასულ წლებში გატარებული რეფორმებით. კერძოდ, 2017 წელს ძალაში შევიდა ცვლილება, რომლითაც მოწესრიგდა დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესთან დაკავშირებული რამოდენიმე ასპექტი. სახელდობრ, აღნიშნულ ცვლილებებამდე ტენდერების და კონკურსების გასაჩივრება იყო უფასო და გასაჩივრება შეეძლო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს. აღნიშნული პრაქტიკა განაპირობებდა იმას, რომ ხშირ შემთხვევაში გასაჩივრება ხდებოდა ყოველგვარი საფუძვლის არსებობის გარეშე, რაც თავისთავად აფერხებდა ტენდერებისა და კონკურსების პროცედურების დაგეგმილ ვადებში წარმართვას. შემსყიდველი ორგანიზაციები ვერ ახორციელებდნენ საჭირო საქონლის, მომსახურებებისა, თუ სამშენებლო სამუშაოების დროულად შესყიდვას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა როგორც უშუალოდ შემსყიდველი ორგანიზაციების გამართულ ფუნქციონირებას, ისე, ზოგადად ქვეყნისათვის საჭირო პროექტების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას.

გატარებული რეფორმით განისაზღვრა საჩივრის წარდგენის საფასური, რომელიც შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არაუმეტეს 500 და არანაკლებ 100 ლარისა. გარდა ამისა, განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა ცნება. აღნიშნული განსაზღვრების შედეგად, სატენდერო ან საკონკურსო პირობების გასაჩივრება შეუძლია სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს. ხოლო, მას შემდეგ რაც დასრულდება სატენდერო ან საკონკურსო წინადადებების მისაღებად განკუთვნილი ვადა, გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ ტენდერში/კონკურსში მონაწილე პრეტენდენტს.

2018 წელს წარდგენილი საჩივრების უმეტესი ნაწილი - 588 საჩივარი, გადაწყდა მომჩივანთა სასარგებლოდ (საბჭოს მიერ დაკმაყოფილდა სრულად ან ნაწილობრივ). საჩივრების სტატუსების დეტალური განაწილება მოცემულია N15 დიაგრამაზე.

დიაგრამა N15: 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა



166 საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი შემდეგი საფუძვლებით:

გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა	48
გასულია სატენდერო პირობების გასაჩივრების ვადა	30
დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება	16
გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებისთვის გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა და ასევე დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება	2
არ იქნა გამოსწორებული საბჭოს აპარატის მიერ დადგენილი ხარვეზი	25
მომჩივანმა გაუშვა საჩივრის დაზუსტებისათვის განსაზღვრული ვადა	33
არ არსებობს დავის საგანი	1
სახეზე არ არის შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება	1
საჩივარი ეხება საკითხს, რომელსაც განიხილავს საბჭო იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	1
საჩივარი ეხება საკითხს, რომელზეც არსებობს საბჭოს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	2
საჩივარი ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ	6
გასულია სისტემის „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით დასმულ კითხვაზე სატენდერო/საკონკურსო კომისიის მიერ გაკეთებული განმარტების ან განმარტების გაკეთებისგან თავის შეკავების გასაჩივრების ვადა	1

23 საჩივარი გაუქმებულ იქნა თავად მომჩივანის მიერ.

1,040 წარდგენილი საჩივრიდან უმეტესობა - 825, ეხებოდა სატენდერო/საკონკურსო კომისიების გადაწყვეტილებებს და ქმედებებს, ხოლო, 215 საჩივარი სატენდერო პირობებს (იხ. დიაგრამა N16).

დიაგრამა N16: 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების საფუძვლები



ქვემოთ მოცემულ N11 ცხრილზე ნაჩვენებია დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების განაწილება სტატუსებისა და შესყიდვის საშუალებების მიხედვით.

ცხრილი N11: 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების გადანაწილება სტატუსებისა და შესყიდვის საშუალებების მიხედვით

შესყიდვის საშუალება	NAT	SPA	DAP	MEP	CNT
დაკმაყოფილდა	171	43	1	0	0
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	278	84	10	0	1
არ დაკმაყოფილდა	202	58	2	1	0
დაუშვებლად იქნა მიჩნეული	113	45	0	1	7
გაუქმდა მომჩივანის მიერ	20	2	1	0	0
სულ	784	232	14	2	8

ცენტრალიზებული შესყიდვების ინიცირება

2018 წელს მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა კონსოლიდირებული ტენდერების განხორციელების კუთხით. საბიუჯეტო სახსრების კიდევ უფრო მეტად ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილებით განისაზღვრა გარკვეული ტიპის შესყიდვის ობიექტებზე ცენტრალიზებული ფორმით შესყიდვების განხორციელება.

რეფორმის შედეგად მოსალოდნელია საბიუჯეტო სახსრების ეკონომია, კორუფციული რისკების, არ შემდგარი ტენდერების და გამარტივებული შესყიდვების რაოდენობისა და მოცულობის შემცირება. გაიზრდება ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტიანობა, მაქსიმალურად შემცირდება თუნდაც თეორიულად შესაძლო კორუფციული გარიგებების რისკები, გაუმჯობესდება შესყიდვის ობიექტების ხარისხი (უნიფიცირებისა და სტანდარტიზების მეშვეობით), რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება თითოეულ მოქალაქეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებულ კონსოლიდირებულ ტენდერებს მიმდინარე ეტაპზე დაემატა ახალი შესყიდვის ობიექტები. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემის საშუალებით 2018 წელს გამოცხადდა 61 კონსოლიდირებული ტენდერი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამაც 290 მილიონი ლარი შეადგინა.

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების მოცულობამ ჯამში 4 (ოთხ) მილიარდ ლარს გადააჭარბა, საიდანაც 3,7 მილიარდი (93%) ლარის შესყიდვა განხორციელდა ღია ელექტრონული ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების გზით, ხოლო 290 მილიონი (7%) ლარი დაიხარჯა კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.

ცხრილი N12: 2018 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდრების რაოდენობა შესყიდვის ტიპის მიხედვით

შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდრეების რაოდენობა
5 სხვადასხვა სახეობის ნავთობპროდუქცი (საწვავი)	8
ფიჭური სატელეფონო მომსახურეობა	1
ტენდერი სტანდარტულ პერსონალურ და სტანდარტულ პორტაბელურ/სატარებელ კომპიუტერებზე	2
A4 ფორმატის უმაღლესი და პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი	6
მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების M+S, ზაფხულისა და ზამთრის სეზონებისთვის განკუთვნილი საბურავები	38
უწყვეტ კვების წყარო (UPS)	1
სატელევიზიო საეთერო დროის რეიტინგული გზით შესყიდვა (wGRP)	3
ერთფუნქციური და მრავალფუქნციური პრინტერები და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრჯები	2

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია თითოეულ მათგანზე გამოცხადებული რაოდენობა და ეკონომია დეტალურად.

ცხრილი N13: კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გამოცხადებული შესყიდვის ობიექტების მოცულობა და ეკონომია

	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული რაოდენობა	ეკონომია საცალოსთან მიმართებაში (ლარი)
1	**ნავთობპროდუქცია (საწვავი)**	74,450,000.00 ლიტრი	31,145,026 ლარი
2	**ფიჭური სატელეფონო მომსახურეობა**	260,000 აბონენტი	N/A
3	**კომპიუტერები**	8 000 - დესკტოპი, 5,500 - ლეპტოპი	1,518,300 ლარი
4	**A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი**	600,000 - უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი 100,000 - პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი	524,502 ლარი
5	**მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები**	44,002 ერთეული საბურავი	4,235,675.53 ლარი
6	**უწყვეტი კვების წყაროები (UPS)**	7,500 - ერთეული უწყვეტი კვების წყარო	272,938 ლარი
7	**სატელევიზიო საეთერო დროის შესყიდვა (WGRP)**	სატელევიზიო საეთერო დროის შესყიდვისთვის განკუთვნილი საორიენტაციო ბიუჯეტის ღირებულება 1,882,433.10 ლარი	7,833,443 ლარი
8	**პრინტერები და მათთვის განკუთვნილი კარტრიჯები**	1200 ერთეული ერთფუნქციური პრინტერი და 12,000,000 გვერდის ბეჭდისთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი 3000 ერთეული მრავალფუნქციური პრინტერი და 34,000,000 გვერდის ბეჭდისთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი	1,338,885 ლარი

აღნიშნული ტენდერების გამოცხადებამდე მოხდა შესაბამისი სფეროს ბაზრის მოკვლევა და სატენდერო დოკუმენტაციების პროექტების მომზადება. ამასთანავე, განხორციელდა შესაბამისი დარგის ექსპერტებთან საქმიანი შეხვედრები, რომლის მიზანიც იყო კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გამოცხადებული შესყიდვის ობიექტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ყველა ზემოაღნიშნული ტენდერის გამოცხადების შემდგომ, შერჩევა-შეფასების ეტაპზე, განხილულ იქნა თითოეული ტენდერის ფარგლებში არსებული უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტ(ებ)ის სატენდერო წინადადება და მომზადდა შესაბამისი პრეტენდენტ(ებ)ის გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე ოქმები. დამატებით, გამარჯვებულ მიმწოდებლებთან თანამშრომლობით, მომზადდა თითოეული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც განთავსდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კონსოლიდირეული ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში დანერგილ საწვავისა და საბეჭდი ქაღალდის ნებართვის მოდულში, 2018 წლის ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წარმოდგენილ საწვავისა და ქაღალდების 6,000-მდე ნებართვაზე, კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის მიერ შემუშავებული რეგულაციებისა და მითითების გათვალისწინებით, განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და თითოეულ ნებართვას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი.

2018 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო და საბითუმო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა 45 მილიონ ლარს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ თანხაში არ შედის ფიჭური სატელეფონო მომსახურეობის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში არსებული დანაზოგი.

ამჟამად ინტენსიურად ხორციელდება ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა, რათა მოხდეს იმ ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა შესყიდვაც კონსოლიდირებული სახით გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით.

გამარტივებული შესყიდვების პრაქტიკა

2018 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით გაფორმებული ხელშეკრულების მოცულობამ შეადგინა საერთო რაოდენობის 19%, რაც 5%-ით ნაკლებია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს შემოვიდა 3,165 მომართვა, რაც ასევე 3%-ით ნაკლებია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (2017 წელს შემოვიდა 3,271 მომართვა).

დიაგრამა N 17: გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის საფუძვლის მიხედვით



დიაგრამა N18: გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის სტატუსების მიხედვით



აღნიშნული დიაგრამიდან იკვეთება, რომ დადებითი პასუხი გაცემულია მომართვების 84%-ზე, ხოლო 16% შეადგინა იმ მომართვების წილმა, რომლებიც არ დაკმაყოფილდა. გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების მოდულში შემოსულ განცხადებებზე გაცემული თანხმობების რაოდენობამ 2018 წელს 2,648 შეადგინა (2017 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2,627 შეადგინა).

2018 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილში N14.

ცხრილი N14: გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების მოდულში შემოსული განცხადებების დეტალური განაწილება

შესყიდვის საფუძველი	უარყოფა	თანხმობა	განუხილველი	გახმობილი	სულ
გადაუდებელი აუცილებლობა	15	1,102	61	199	1,377
ექსკლუზივი	14	849	53	75	991
ხარისხის გაუარესება	5	70	10	18	103
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	2	248	3	35	288
შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ	1	354	9	9	373
ცვლილება გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილებაში	-	25	-	8	33
ჯამი	**37**	**2,648**	**136**	**344**	**3,165**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შედგენილ იქნა 116 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 370 პირის მიმართ. მათი შესწავლის შემდგომ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, ფაქტების კვალიფიკაცია მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით და გაგზავნილი იქნა შესაბამისი წერილობით შეტყობინებები. სასამართლოში გაგზავნილი სამართალდარღვევის საქმეების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ უმეტეს შემთხვევაში გამოყენებული იქნა გაფრთხილება.

2018 წლის განმავლობაში ჩატარებული პროცესების რაოდენობამ შეადგინა 683. სასამართლოში ჯამში 2018 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 217 საქმის განხილვა. აქედან, 116 საქმე ეხებოდა სააგენტოს მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, 63 საქმე ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გაცემულ განკარგულებას შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე, 24 საქმე ეხებოდა დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (სასამართლომ 1 საქმის შემთხვევაში დააკმაყოფილა მოთხოვნა), 4 საქმე კონსოლიდირებულ ტენდერს, 5 სამოქალაქო დავა საგრანტო თანხის დაბრუნებას, ხოლო 7 საქმე ეხებოდა სააგენტოს მიერ წარდგენილ სამოქალაქო თანხის დაბრუნებას. ასევე, გასაჩივრებულ იქნა 1 განკარგულება თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომლის შემთხვევაშიც სასამართლომ ძალაში დატოვა სააგენტოს გადაწყვეტილება. 1 საქმე შეეხებოდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას.

ასევე, გასაჩივრებულ იქნა SMP მოდულის საშუალებით გაცემული 3 თანხმობის აქტი, რომლის წარმოებაც სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე შეწყდა.

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი 1,040 საჩივრიდან, როგორც აღინიშნა სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული 24 გადაწყვეტილება, რომელიც წარდგენილი საჩივრების 2.3%-ს შეადგენს. 24 საქმიდან 1 საქმის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რაც გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში.

ასევე, 2018 წლის განმავლობაში შავ სიასთან დაკავშირებით გასაჩივრებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული 64 განკარგულება. სასამართლომ 64 საქმის შემთხვევაში მიიჩნია, რომ სააგენტოს აქტი კანონიერია და ყველა გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

თეთრი სიის წარმოება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციური მიმწოდებლების რეესტრის - ე.წ. „თეთრი სიის“ წარმოება.

2018 წელს თეთრ სიაში რეგისტრაციასთან და რეგისტრაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მიღებული იქნა ჯამში 127 გადაწყვეტილება, რომელთა დეტალური შედეგები მოცემულია N19 დიაგრამაზე.

დიაგრამა N19: 2018 წელს თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



შავი სიის წარმოება

თეთრი სიის წარმოებასთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრის - ე.წ. „შავი სიის“ წარმოებასაც.

შავ სიაში მიმწოდებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა 607 მომართვა. აქედან 403 შემთხვევაში მიმწოდებლები დარეგისტრირდნენ შავ სიაში, ხოლო 143 მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება. გადაწყვეტილებების დეტალური შედეგები ასახულია N20 დიაგრამაზე.

დიაგრამა N20: 2018 წელს შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



აქვე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გატარებული რეფორმის შედეგად ტენდერში ან კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილი პრეტენდენტი, რომელიც უარს იტყვის ან სხვაგვარად გამოხატავს უარს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებაზე აღარ დაექვემდებარება შავ სიაში დარეგისტრირებას.

პერმანენტული მონიტორინგი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ყოველდღიურ რეჟიმში სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პროცედურებით განხორციელებული შესყიდვების, წლიური გეგმებისა და გამარტივებული შესყიდვების მონიტორინგი.

2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, განხორციელდა სისტემის ავტომატური შეტყობინებების საშუალებით სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მქონე 14,814 და „შეწყვეტილია“, „ არ შედგა“ და „დასრულდა უარყოფითი შედეგით“ სტატუსის მქონე 639 ტენდერის სრული მონიტორინგი.

ამავდროულად, მოხდა სისტემაში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით 8,400 ტენდერის მონიტორინგი.

სააგენტო ასევე ახორციელებს კონკურსებისა და CMR მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული ხელშეკრულებების მონიტორინგს. სულ განხორციელდა 60 კონკურსისა და 52,688 გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულების მონიტორინგი.

სააგენტოს მიერ გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაიგზავნა 1,815 წერილი. აქედან, 116 შემთხვევაში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში სააგენტო შემოიფარგლა წერილობითი მითითებით-რეკომენდაციით.

დიდაქტიკური საქმიანობა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში არსებული სასაწავლო ცენტრი კვლავ აქტიურად აგრძელებს საქმიანობას. სხვადასხვა სასწავლო კურსს წარმართავენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

სასწავლო ცენტრში გარდა ძირითადი ორკვირიანი კურსისა ასევე განხორციელდა ტრენინგები სამი განსხვავებული პროგრამით:

- “სიახლეები სახელმწიფო შესყიდვებში“ მოქმედი შესყიდვების სპეციალისტებისათვის;
- „სახელმწიფო შესყიდვების აქტუალური გამოწვევები და სიახლეები“ საქართველოს მუნიციპალიტეტების მერებისთვის;
- „სახელმწიფო შესყიდვების კურსი და ტრენერთა ტრენინგი (ToT) მიმწოდებლებისათვის“.

მხოლოდ 2018 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგებისა და სემინარების 26 ციკლი (ნაკადი), რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. მსმენელთა ჯგუფებში წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფო უწყებების, 71 მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქების მერიების და საკრებულოების შესყიდვების სპეციალისტები, ასევე ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქედან, საწავლო ცენტრის მიერ გადამზადდა სულ 315 (სამას თხუთმეტი) სერტიფიცირებული მსმენელი. ასევე, მოეწყო 5 თემატური შეხვედრა საქართველოს მუნიციპალიტეტების მერებთან და მათ პასუხისმგებელ თანამშრომლებთან (117 მსმენელი) და 13 ერთდღიანი ტრენინგი სერთიფიცირებული სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტებისათვის (369 მსმენელი), ასევე ერთი ტრენინგი მიმწოდებლებისთვის (15 მსმენელი); ჯამში გადამზადდა 816 (რვაას თექვსმეტი) მსმენელი.

2014 წლიდან დღემდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადებული და სერტიფიცირებულია 2,824 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი; მათ შორის: 1,327 მსმენელი ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან, 1,427 პირი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი, ხოლო 70 ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი.

ამ რიცხვში არ არის მითვლილი სემინარებსა და სხვა ტიპის საინფორმაციო-საკონსულტაციო-შემეცნებით შეხვედრებზე მოწვეული მსმენელები; მათმა რაოდენობამ შეადგინა - სულ 358 მსმენელი. ასევე ერთდღიანი

ტრენინგების კურსით გადამზადებული - 369 მსმენელი და მუნიციპალიტეტების მერიებიდან 117 მსმენელი; ჯამში, 2014 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის დეკემბრამდე, სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადებულია 3,668 მსმენელი.

დიაგრამა N21: 2014–2018 წლებში გადამზადებულ მსმენელთა რაოდენობის დინამიკა



სასწავლო ცენტრი როგორც გასულ, ისე 2018 წელს, აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებაში.

მათ შორის იყვნენ:

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ქ.თბილისის მერია
- საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატა
- მსოფლიო ბანკის (World Bank) სხვადასხვა პროექტები
- USAID-ის G4G პროგრამა
- USAID-ის HICD 2020 პროგრამა

გამოცემები და პუბლიკაციები

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გაცნობისა და შესწავლის მიზნით 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID – G4G პროგრამის დახმარებით განაახლა და გამოსცა არაერთი სახელმძღვანელო და მეთოდური მითითება. კერძოდ:

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: *CMR, ePlan, SMP და რანჟირების ელექტრონული მოდულები;*
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: *ელექტრონული ტენდერები;*
3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: შესყიდვების ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით და საგრანტო კონკურსის ელექტრონული სისტემა;
4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: *სისტემის ფუნქციონალი, მომხმარებლის რეგისტრაცია და პროფილის მართვა;*
5. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
6. სახელმწიფო შესყიდვები: *მეთოდური მითითებები და საუკეთესო პრაქტიკა.*

მომხმარებლებთან კომუნიკაცია

2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დოკუმენტბრუნვამ (შემოსული და გასული წერილების რაოდენობამ) შეადგინა 15,713 (2017 წელს ეს ციფრი შეადგენდა 17,478). აგრეთვე, სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@procurement.gov.ge) შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 1,519 (2017 წელს - 1,941) წერილს. ხოლო დაარქივებული წერილების რაოდენობამ 2,195 (2017 წელს - 2,031) შეადგინა.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს ამომწურავი და კომპეტენტური პასუხი მიიღოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში არსებულ მოქალაქეთა მომსახურების ცხელ ხაზზე. 2018 წელს სააგენტოს „ქოლ-ცენტრში“ შემოვიდა და პასუხი გაეცა 17,781 ზარს.

ცხრილი N15: ცხელ ხაზზე შემოსული ზარების სტატისტიკა

ზარის შინაარსი	რაოდენობა	%
ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები	6,983	39.3
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები	5,639	31.7
კონსოლიდირებული ტენდერები	1,924	10.8
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები	1,528	8.6
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები	1,245	7
გადაუდებელი აუცილებლობიდან გამოწვეული შესყიდვები	234	1.3
სხვა	228	1.3
სულ	**17,781**	**100**

სისტემაში ჩაშენებული მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა (SMS) და სისტემური შეტყობინებების მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებული პირებს საშუალება ეძლევათ მუდმივ რეჟიმში იყვნენ ინფორმირებული ახალი სერვისებისა და მოდულების განვითარების შესახებ. ასევე, მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ. მხოლოდ 2018 წელს გაგზავნილი სისტემური შეტყობინებების ჯამურმა რაოდენობამ დაახლოებით 46 მილიონი შეადგინა, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობამ კი 282 ათას გადააჭარბა.

საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსიფიცირება

ისევე როგორც წინა წლები, 2018 წელიც საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით:

- მიმდინარე წლის განმავლობაში, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) საგრანტო პროგრამის ფარგლებში და სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, გაიმართა საჯარო - კერძო დიალოგის ფორმატის შეხვედრები ქ. ბათუმში (15 ივნისი), ქ. თელავში (13 ივლისი), ქ. გორში (13 აგვისტო), ქ. ქუთაისსა (10 სექტემბერი) და ქ. ზუგდიდში (20 სექტემბერი), რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, პალატისა და ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები. შეხვედრები მიზნად ისახავდა რეგიონებში მოქმედი მეწარმეების სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესების ხარისხის გაზრდასა და საჯარო შესყიდვების პროცესში მათი მაქსიმალურად ჩართულობის უზრუნველყოფას;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად განაგრძობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას;

- მსოფლიო ბანკთან, ევროკავშირთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით გრძელდება საჯარო დანახარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) პროგრამაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აქტიური ჩართულობა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, განხორციელდა შეფასების ანგარიშის მომზადებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აისახა საბოლოო ანგარიშში;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურადაა ჩართული ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საერთაშორისო ინიციატივაში. 2018 წლის 17-19 ივლისს თბილისში გაიმართა ღია მმართველობის პარტნიორობის მე-5 გლობალური სამიტი. სამიტს ესწრებოდა 70 ქვეყნის 2,000-მდე მონაწილე. სამიტზე საჯარო შესყიდვების თემატიკასა და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებულ რეფორმებს დაეთმო სპეციალური სესია. სესიაზე, მსოფლიო ბანკის (WB Group), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ღია მონაცემთა პარტნიორობის (OCP) ორგანიზაციის ბრიტანელ წარმომადგენლებთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ფორუმის მონაწილეთა წინაშე წარსდგა, OGP-ის 2018 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშით;

- სააგენტო აქტიურადაა ჩართული საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის განხორციელებაში. ამ კუთხით სააგენტო პერიოდულად აახლებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;

- ასევე, აქტუალურია სააგენტოსთვის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის განხორციელება. ამ კუთხით მიმდინარეობს თანამშრომლობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ანტიკორუფციული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

- მიმდინარე წლის 25 – 27 აპრილს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სეულში (სამხრეთ კორეა) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში – „საჯარო და ელექტრონული შესყიდვები 2018“. კონფერენციას ესწრებოდნენ სამხრეთ კორეის პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მინისტრი და სხვა ოფიციალური პირები. ამ ფორუმის ძირითადი მიზანი იყო გლობალური მასშტაბით საჯარო შესყიდვების ბაზრებზე წვდომის გაფართოება. მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთს გაუზიარეს ელექტრონული შესყიდვების საუკეთესო პრაქტიკა, ასევე, განიხილეს საჯარო შესყიდვების სფეროში მიმდინარე პროცესები და ტენდენციები;

- მიმდინარე წლის 8-10 მაისს, ქ. ბუქარესტში (რუმინეთი), მსოფლიო ბანკის (WB), აზიის განვითარების ბანკის (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით, გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი PRIMO – 14th Procurement, Integrity, Management and Openness Forum, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა;

- მიმდინარე წლის 25 – 29 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები საჯარო შესყიდვებში გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ასევე ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების პრაქტიკის გაცნობის მიზნით, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ავსტრიაში, სადაც შეხვედრები გაიმართა ავსტრიის საჯარო შესყიდვების ფედერალურ უწყებასთან, ფინანსთა სამინისტროსთან, ავსტრიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სააგენტოსთან. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები დეტალურად გაეცნენ ავსტრიის ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემას;

- მიმდინარე წლის 17 – 21 სექტემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს აზიის განვითარების ბანკის (ADB) ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში „Global Public Procurement Conference" და "4th Conference of the Asia Pacific Public Electronic Procurement Network", რომელიც გაიმართა ქ. ვაშინგტონში (აშშ). ღონისძიების ფარგლებში მოხდა საქართველოში არსებული საჯარო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარება და დაისახა სამომავლო გეგმები საჯარო შესყიდვებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ გლობალური სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით;

- 2018 წლის 16-17 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში (ბელგია) გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის საკითხებში ასოცირების კომიტეტის მორიგი ყოველწლიური სხდომა. აღნიშნულ შეხვედრაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარსდგა 2018 წლის შემაჯამებელი ანგარიშით ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომიტეტის შეხვედრის დასარულს ხელი მოეწერა შესაბამის ოქმს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები.

პარტნიორებთან თანამშრომლობა

European Commission

Delegation of the European Union to Georgia

OECD
BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

SIGMA

WORLD TRADE ORGANIZATION

NATO OTAN

UNDP

ILO International Labour Organization

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

UNOPS

გერმანიის თანამშრომლობა

Implemented by: giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UKaid from the British people

DFID Department for International Development

CLDP COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

Sida

cim Centre for International Migration and Development
a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

European Bank

ADB Asian Development Bank
FIGHTING POVERTY IN ASIA AND THE PACIFIC

European Investment Bank

TRANSPARENCY INTERNATIONAL
the global coalition against corruption

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

თბილისი 2019